Research

x მაისი 2025

შრომის ბაზრის მიმოხილვა
საქართველო

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები საქართველოში

გამოცემა #151

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	1
შრომის ბაზრის მაჩვენებლები	2
არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა	3
ხელფასები	4
შრომის ბაზრის მაჩვენებლები გენდერის მიხედვით	6
შრომის ბაზრის მაჩვენებლები ქალაქსა და სოფელში	7
დასაქმება ეკონომიკური სექტორების მიხედვით	8
დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები	9
ვაკანსიები	10
ბევერიჯის მრუდი	11
ბიზნესის მოლოდინები დასაქმებასთან დაკავშირებით	12
ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები	14

ძირითადი მიგნებები

პრე- და პოსტპანდემიური პერიოდების შედარება (2019 და 2025)

- **შრომის ბაზრის ტენდენციები:** 2025 წლის კვ. I-ში, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, საქართველოს შრომის ბაზარის ეფექტიანობა გაუმჯობესდა: გაიზარდა როგორც დასაქმების დონე (+4.6 პროცენტული პუნქტით (პპ)), ასევე სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე (+ 2.2 პპ), ხოლო უმუშევრობის დონე შემცირდა (-5.0 პპ). მიუხედავად ამისა, უმუშევრობის დონე კვლავ თითქმის ორჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს.

- **სამუშაო ძალის დინამიკა:** 2025 წლის კვ. I-ში, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, სამუშაო ძალა 2.5%-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, დასაქმებულთა 8.9%-იანი ზრდითაა განპირობებული, რადგან უმუშევრობა 23.6%-ით შემცირდა. ამავდროულად, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 6.1%-ით შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, სამუშაო ძალის ზრდისა და, ნაწილობრივ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ემიგრაციის შედეგია.

- **ხელფასების დინამიკა:** 2025 წლის კვ I-ში, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, საშუალო ნომინალური ხელფასი თითქმის გაორმაგდა, კერძოდ, 1,093 ლარიდან 2,170 ლარამდე გაიზარდა. თუმცა, ინფლაციის გათვალისწინებით, რეალური ხელფასების ზრდა გაცილებით ზომიერი იყო (2019-2024 წლებში 935 ლარიდან 1,300 ლარამდე გაიზარდა).

- **გენდერული და საქალაქო-სასოფლო დაყოფა:** საქართველოს შრომის ბაზარზე გენდერული სხვაობა კვლავ შენარჩუნებულია, კერძოდ, ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე საშუალოდ 21.5 პპ-ით ნაკლებია კაცებთან შედარებით. ანალოგიურად, ქალაქში სამუშაო ძალაში მონაწილეობა უფრო მაღალია, ვიდრე სოფელში, თუმცა პანდემიის შემდეგ ეს სხვაობა მცირედით შემცირდა.

ბოლო პერიოდის ტენდენციები

- **ხელფასების განაწილება:** 2025 წლის კვ I-ში, 2021 წლის კვ. I-თან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც 0-დან 600 ლარამდე ხელფასს იღებდა მაშინ, როცა იმ პირთა რაოდენობა, ვინც 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფას იღებდა, თითქმის გაორმაგდა. ხელფასების ზრდა ძირითადად 1,200-დან 2,399 ლარამდე და 2,400 ლარის ან მეტი შემოსავლის სეგმენტზე კონცენტრირდა.

- **შრომაზე მოთხოვნა და ვაკანსიები:** პანდემიის შემდეგ ვაკანსიების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა 2024 წლის ბოლოს და 2025 წლის დასაწყისში კლების ტენდენცია შეიძინა, რაც, სავარაუდოდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არის გამოწვეული.

- **ბევერიჯის მრუდი:** 2025 წლის კვ. I-ში, სეზონურად შეწონილი უმუშევრობის დონისა და ვაკანსიების გამოცხადების დონის მცირედი კლების ფონზე, შრომის ბაზრის ეფექტიანობა მცირედით გაუმჯობესდა, წინა კვარტალთან შედარებით..

- **ბიზნესის მოლოდინები მომდევნო 3 თვეში დასაქმებასთან დაკავშირებით:** 2025 წლის კვ. I-ში გამოკითხული კომპანიების უმეტესობას მომდევნო 3 თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინები აქვს, თუმცა დასაქმების ბარომეტრი შემცირებულია როგორც წინა კვარტალთან, ასევე წინა წლის შესაბამის კვარტალ-თან შედარებით.

- **ბიზნესის მოლოდინები ხელფასებისა და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ:** გამოკითხული კომპანიების 40%-მა 2025 წლის კვ. I-ში ხელფასები გაზარდა (92%-მა - 0-20%-ით, ხოლო 8%-მა - 20-40%-ით), თუმცა მხოლოდ 18%-მა განაცხადა, რომ გეგმავს ხელფასების გაზრდას მომდევნო კვარტალში. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულ კომპანიათა 23%-ში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო 29% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას მომდევნო კვარტალში.

2024 წლის მიმოხილვა

- **არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა:** არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა, რომელიც მოიცავს უმუშევრობას, არასრულად დასაქმებასა და პოტენციურ სამუშაო ძალას, 2024 წელს დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა უმუშევრობის დონეს, რაც არსებულ სტრუქტურულ გამოწვევებზე მიანიშნებს.

- **დასაქმების ტენდენციები სექტორების მიხედვით:** 2024 წელს დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და განათლების სექტორებზე მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა ჩამოთვლილთაგან ყველა სექტორში გაიზარდა, გარდა სოფლის მეურნეობისა (-9.1%).

- **დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები:** 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში საწარმოების 7%-ში დასაქმებული იყო 18,935 უცხოელი მოქალაქე (სამუშაო ძალის 2%)*. მათი უმეტესობა დასაქმებული იყო ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში (38%), რომელსაც მოსდევდა მშენებლობა (14%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები (7%).

** შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემის (LMIS) მიერ ჩატარებული საწარმოთა მოთხოვნის კვლევის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ინტერვიუსთვის შეირჩა 10,100 საწარმო.*

შრომის ბაზრის მაჩვენებლები

შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში (%)



შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში (ათასი კაცი)



- 2025 წლის კვ I-ში, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტიანობა გაუმჯობესდა.* კერძოდ, გაიზარდა როგორც დასაქმების დონე (+4.6 პპ), ასევე სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (+2.2 პპ), ხოლო უმუშევრობის დონე 5.0 პპ-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში უმუშევრობის დონე კვლავაც დაახლოებით ორჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (5.8%) 2025 წლის კვ. I-ის მდგომარეობით.[1]

- 2025 წლის კვ I-ში, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, სამუშაო ძალა საქართვე-ლოში 2.5%-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, განპირობებულია დასაქმებულთა რაოდენობის 8.9%-იანი ზრდით, რადგან უმუშევართა რაოდენობა 23.6%-ით შემცირდა.

- 2024 წელს 2019 წელთან შედარებით მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 6.1%-ით (დაახლოებით 88 ათასი ადამიანით) შემცირდა. ამ პირების დაახლოებით 45.8%-მა, შესაძლოა, სამუშაო ძალაში გადაინაცვლა, ხოლო დანარჩენები, სავარაუდოდ, გამოეთიშნენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, ემიგრაციის ან სხვა დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად.

** 2020–2021 წლებში COVID-19-ის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა "ლოქდაუნმა" შრომის ბაზარი დროებით შეაფერხა.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა

არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა საქართველოში (%)



- უმუშევრობის დონესთან ერთად შრომის ბაზრის ეფექტიანობის სრულფასოვნად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებაც. კერძოდ, არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე, რომელიც მოიცავს უმუშევრობას, არასრულად დასაქმებასა და პოტენციურ სამუშაო ძალას, 2024 წელს დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა უმუშევრობის დონეს, თუმცა 2020 წლიდან ეს მაჩვენებელიც დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება.

- ეს მნიშვნელოვანი სხვაობა, ერთი მხრივ, მიუთითებს შედარებით მცირე სეგმენტზე იმ დასაქმებულთა, რომლებიც ცდილობენ დამატებითი სამუშაო საათების მოძიებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმედგაცრუებული და შრომის ბაზარს მოწყვეტილი ადამიანების მნიშვნელოვან რაოდენობაზე, რომლებიც უმუშევრობის დონეში არ განიხილებიან.

** არასრულად დასაქმებულები მოიცავს იმ დასაქმებულებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ სამ პირობას: 1. იყვნენ არასრულად დასაქმებულები; 2. გასული 4 კვირის განმავლობაში ეძებდნენ სხვა ან დამატებით ანაზღაურებად სამუშაოს ან ცდილობდნენ საკუთარი საქმის წამოწყებას; 3. მზად იყვნენ დაეწყოთ მეტი საათით მუშაობა მომდევნო 2 კვირაში.*
*** პოტენციური სამუშაო ძალა მოიცავს იმ პირებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სამუშაო ძალას, ანუ არც დასაქმებულები არიან და არც უმუშევრები. ეს ჯგუფი მოიცავს პირებს, რომლებიც ან აქტიურად ეძებენ სამსახურს, მაგრამ ამ ეტაპზე არ არიან მზად მუშაობის დასაწყებად ან, პირიქით, მზად არიან მუშაობის დასაწყებად, მაგრამ აქტიურად არ ეძებენ სამსახურს.[2]*
**** არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალა მოიცავს უმუშევრობას, არასრულად დასაქმებასა და პოტენციურ სამუშაო ძალას.[2]*

ხელფასები



- 2019 წლის კვ. I-დან 2025 წლის კვ. I-ის ჩათვლით, საქართველოში დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასები სტაბილურად იზრდებოდა. საშუალო ხელფასმა საქართველოში 2019 წლის კვ. I-ში დაახლოებით 1,093 ლარიდან 2024 წლის კვ. IV-ში 2,218 ლარს მიაღწია, რაც თითქმის ორმაგი ზრდაა. თუმცა, ინფლაციის გათვალისწინებით, რეალური ხელფასების ზრდა შედარებით ზომიერი იყო, კერძოდ, საშუალო რეალური ხელფასი 2019 წლის კვ. I-ში 934 ლარიდან 2024 წლის კვ. IV-ში 1,400 ლარამდე გაიზარდა.

** ინფლაციის მიხედვით კორექტირებული ხელფასები გამოთვლილია 2015 წლის კვ. I-ის ფასებზე დაყრდნობით.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობა სახელფასო კატეგორიების მიხედვით



ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობა, მათი ზრდა და წილი სახელფასო კატეგორიების მიხედვით 2024 წელს



- ხელფასების განაწილების გასაგებად მნიშვნელოვანია ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობის სახელფასო კატეგორიების მიხედვით ანალიზი. აღსანიშნავია, რომ 0-დან 600 ლარამდე თვიური ხელფასის მიმღებთა რაოდენობა 2021 წლიდან სტაბილურად მცირდებოდა, რის შედეგადაც 2025 წლის კვ. I-ში, 2021 წლის კვ. I-სთან შედარებით, მაჩვენებელმა 40.3%-ით დაიკლო. გარდა ამისა, შემცირდა იმ პირთა რაოდენობაც, რომლებიც 600-დან 1199 ლარამდე თვიურ ხელფასს იღებდა (-17.7%).

- ამის საპირისპიროდ, 1,200-დან 2,399 ლარამდე თვიური ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობა გაიზარდა 2025 წლის კვ. I-ში, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის კვ. II-ში ამ სეგმენტში კლების ტენდენცია შეინიშნებოდა. თუმცა, ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა იმ პირთა შორის, რომლებიც 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს იღებდა, კერძოდ, აღნიშნულ კატეგორიაში ადამიანების რაოდენობა 2025 წლის კვ. I-ში, 2021 წლის კვ. I-თან შედარებით, თითქმის გაორმაგდა.

** მონაცემები წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებულ პირებს და არ მოიცავს არაფორმალურ დასაქმებას.*

შრომის ბაზრის მაჩვენებლები გენდერის მიხედვით





- 2019 წლის კვ. I-დან 2025 წლის კვ. I-ის ჩათვლით, საქართველოს შრომის ბაზრის მაჩვენებლები გენდერულ უთანასწორობაზე მიუთითებს, რაც გაუმჯობესების მკაფიო ტენდენციით არ ხასიათდება. ამ პერიოდში ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე საშუალოდ 21.5 პპ-ით ჩამორჩებოდა კაცების მაჩვენებელს. ამის შედეგად, შედარებით დაბალია დასაქმების დონე და ოფიციალურად აღრიცხული უმუშევრობის დონე.

- 2025 წლის კვ. I-ში უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც კაცებში (4.8 პპ-ით), ასევე ქალებში (5.5 პპ-ით) 2019 წლის კვ. I-თან შედარებით. რაც შეეხება დასაქმებას, კაცების დასაქმების დონე უფრო სწრაფად, 6.1 პპ-ით, ხოლო ქალების - 2.9 პპ-ით გაიზარდა.

- 2019 წლის კვ. I-დან 2025 წლის კვ. I-ის ჩათვლით, მნიშვნელოვანი გენდერული სახელფასო სხვაობა შეიმჩნევა, კერძოდ, ამ პერიოდში ქალი, საშუალოდ, 1.5-ჯერ ნაკლებ ანაზღაურებას იღებს, კაცთან შედარებით.

** მონაცემები ეფუძნება კვარტალური მაჩვენებლების საშუალოს და შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს წლიურ მნიშვნელობებს.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომის ბაზრის მაჩვენებლები ქალაქსა და სოფელში

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქში და სოფელში (%)



- 2019 წლის კვ. I-დან 2025 წლის კვ. I-ის ჩათვლით, სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე ქალაქში უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფელში. ეს სხვაობა განსაკუთრებით გაიზარდა 2020 და 2021 წლებში, რაც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიის ქალაქსა და სოფელზე არათანაბარი გავლენით იყო განპირობებული. თუმცა ეს სხვაობა შემდეგ წლებში თანდათან შემცირდა. 2025 წლის კვ. I-ში, ქალაქში სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე, 2019 წლის კვ. I-თან შედარებით, 0.6 პპ-ით გაიზარდა, ხოლო სოფელში - 4.1 პპ-ით.

შრომის ბაზრის მაჩვენებლები ქალაქსა და სოფელში (%)



- 2019 წლის კვ. I-დან 2025 წლის კვ. I-ის ჩათვლით, როგორც ქალაქში, ისე სოფელში უმუშევრობის დონე შემცირდა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა. 2020 და 2021 წლებში ქალაქსა და სოფელში უმუშევრობის დონეებს შორის სხვაობა მომდევნო წლებში თანდათან შემცირდა და 2024 წელს თითქმის გაქრა, თუმცა ისევ გაიზარდა 2025 წლის კვ. I-ში. ხოლო დასაქმების დონეებს შორის 2024 წელს გაზრდილი სხვაობა, 2025 წლის კვ. I-ში შემცირდა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმება ეკონომიკური სექტორების მიხედვით



- 2024 წელს დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდიოდა შემდეგ სექტორებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა (16.1%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (16.0%), მრეწველობა (12.9%) და განათლება (11.7%). აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა ჩამოთვლილთაგან ყველა სექტორში გაიზარდა, გარდა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობისა (-9.1%).

- როგორც 2019, ისე 2024 წელს ყველაზე დაბალი საშუალო ნომინალური ხელფასი განათლების სექტორში დასაქმებულებს ჰქონდათ. ხოლო ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი 2024 წელს ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,976 ლარი), საფინანსო და სადაზღვევო (3,680 ლარი) და მშენებლობის (3,032 ლარი) სექტორებში დასაქმებულ პირებს ჰქონდათ.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები





- 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების 7%-ს (ჯამში 3,332 საწარმო) დასაქმებული ჰყავს 18,935 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც ქვეყნის სამუშაო ძალის 2%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 4%-ით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით, თუმცა 89%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.
- 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა მუშაობს მსხვილ საწარმოებში (39%), ხოლო დანარჩენები - მცირე (37%) და საშუალო ზომის (24%) საწარმოებში. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულ უცხოელთა 66% თბილისშია თავმოყრილი.
- 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა დასაქმებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში (38%), რომელსაც მოსდევს მშენებლობისა (14%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების სექტორები (7%).

წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



- საქართველოს შრომის ბაზრის სრულფასოვნად გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია შრომაზე მოთხოვნაზე დაკვირვებაც, რომლის ერთ-ერთი ინდიკატორი საქართველოს დასაქმების საიტზე, jobs.ge-ზე, გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობაა.

- აღსანიშნავია, რომ ვაკანსიების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 2019 წელს წინა წელთან შედარებით, თუმცა COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წელს შემცირება დაიწყო. დასაქმების ბაზარი სწრაფად აღდგა 2021 წელს და 2022 წლიდან სტაბილური, მაგრამ შენელებული ზრდა განაგრძო. ხოლო 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში ვაკანსიებმა კლება დაიწყო, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებია.

- აღსანიშნავია, რომ დასაქმების ბაზარი სეზონურობით ხასიათდება, კერძოდ, ვაკანსიების რაოდენობა, როგორც წესი, პიკს აღწევს კვ. II-სა და კვ. III-ში, ხოლო დანარჩენ კვარტალებში კლებულობს.

- 2024 წელს ყველაზე მეტი ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვებისა და შესყიდვების (20%), ადმინისტრაციისა და მენეჯმენტისა (19%) და ფინანსებისა და სტატისტიკის (15%) კატეგორიებში.

ბევერიჯის მრუდი



- ბევერიჯის მრუდი ასახავს ვაკანსიების მაჩვენებელსა და უმუშევრობის დონეს შორის კავშირს, რითაც შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. სეზონურად შესწორებული ბევერიჯის მრუდის მიხედვით, 2025 წლის კვ. I-ში შრომის ბაზრის ეფექტიანობა მცირედით გაუმჯობესდა წინა კვარტალთან შედარებით, რადგან როგორც უმუშევრობის დონემ, ასევე ვაკანსიების გამოცხადების დონემ მცირედით დაიკლო.

- პანდემიის პერიოდში (2020 კვ. I – 2021 კვ. II) ეკონომიკა რეცესიის ფაზაში გადავიდა, რადგან უმუშევრობის დონე გაიზარდა, ხოლო ვაკანსიების რაოდენობა შემცირდა. ხოლო 2021 წლის კვ. I-ში, როცა COVID-19-ის შეზღუდვები შემსუბუქდა, ბევერიჯის მრუდი გადაადგილდა კოორდინატთა სათავიდან გარეთ, რაც შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებაზე მიუთითებს.

- პოსტ-პანდემიურ პერიოდში (2021 წლის კვ. III – 2024 წლის კვ. II) ეკონომიკა კვლავ გადავიდა ექსპანსიის ფაზაში, რადგან უმუშევრობის დონე თანდათან შემცირდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე გაიზარდა. თუმცა შრომის ბაზრის ეფექტიანობა პანდემიამდელ დონესთან შედარებით მაინც უფრო დაბალი იყო. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის ეფექტიანობა 2022 წლის კვ. III-სა და 2024 წლის II კვ.-ში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

** პიემსიჯი კვლევითმა ცენტრის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით აგებული ბევერიჯის მრუდი ასახავს სეზონურად შეწონილი ვაკანსიების გამოცხადებისა (Y ღერძზე) და უმუშევრობის დონეებს (X ღერძზე) შორის კავშირს. მისი ძირითადი მახასიათებლებია: ა. მრუდის გადაადგილება კოორდინატთა სათავისკენ შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას ასახავს; ბ. მრუდის გადაადგილება კოორდინატთა სათავიდან გარეთ ეფექტიანობის შემცირებას აჩვენებს; გ. მრუდის გასწვრივ მარცხნივ მოძრაობა - ექსპანსიაზე, ხოლო მრუდის გასწვრივ მარჯვნივ მოძრაობა კი რეცესიაზე მიუთითებს.*
*** ვაკანსიების გამოცხადების დონე გამოითვლება ვაკანსიების რაოდენობის დასაქმებულთა რაოდენობისა და ვაკანსიების რაოდენობის ჯამთან შეფარდებითა და 100-ზე გამრავლებით.*

წყარო: Jobs.ge, Hr.gov.ge, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნესის მოლოდინები დასაქმებასთან დაკავშირებით

BAG დასაქმების ბარომეტრი*



დასაქმებულთა ანაზღაურება



- შრომის ბაზრის სრულფასოვანი ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ბიზნესის დასაქმებასთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებაც. 2025 წლის კვ. I-ში გამოკითხულ ბიზნესებს მომდევნო სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინები აქვთ, თუმცა BAG-ის დასაქმების ბარომეტრი შემცირდა როგორც 2024 წლის კვ. IV-თან (4.0 ქულით), ასევე 2024 წლის კვ. I-თან შედარებით (20.3 ქულით).

- BAG-ის დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი 2025 წლის კვ. I-ში ყველა სექტორში დადებითია, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით მშენებლობის (14.1 ქულით), მრეწველობისა (6.5 ქულით) და ვაჭრობის (5.5 ქულით) სექტორებში გაუარესდა, ხოლო მომსახურების სექტორში მცირედით (1.3 ქულით) გაიზარდა.

- გამოკითხული კომპანიების 40%-მა 2025 წლის კვ. I-ში თანამშრომლების ხელფასი გაზარდა, რაც წინა კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილი მაჩვენებელია, თუმცა 2024 წლის კვ. I-თან შედარებით ნაკლებია. მათგან 92%-მა ხელფასები 0-20%-ით გაზარდა, ხოლო 8%-მა - 20-40%-ით. 2025 წლის კვ. II-ში კი კომპანიების 18% გეგმავს თანამშრომლების ხელფასების გაზრდას.

** BAG დასაქმების ბარომეტრი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. იგი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ. კომპანიებს შეუძლიათ დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების – „მზარდისა“ და „კლებადის“ – წილებს შორის სხვაობითა და სექტორების მიხედვით შეწონვით. BAG ბარომეტრის მნიშვნელობა მერყეობს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა კომპანია მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა კომპანია მოელის - ზრდას.*

წყარო: პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (პი ემ სი ჯი), საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ბიზნესის მოლოდინები დასაქმებასთან დაკავშირებით



- 2025 წლის კვ. I-ში გამოკითხულ კომპანიათა 23%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2025 წლის კვ. II-ის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 29% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო 64% არ აპირებს დასაქ-მებულთა რაოდენობის შეცვლას.

- სექტორებს შორის, 2025 წლის კვ. I-ს მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად მშე-ნებლობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2025 წლის კვ. II-ის მოლოდინს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ, ყველაზე პოზიტიური შეფასებით ვაჭ-რობის სექტორი გამოირჩევა.

** დეტალური შედეგების სანახავად, გთხოვთ, გაეცნოთ სრულ პუბლიკაციას.*

წყარო: პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (პი ემ სი ჯი), საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

ძირითადი მაჩვენებლები	2019	2020	2021	2022	2023	2024
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17,638.7	16,010.7	18,853.0	24,989.5	30,779.1	33,773.9*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,741.4	4,300.8	5,083.6	6,731.2	8,284.0	9,141.4*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.4%	-6.3%	10.6%	11.0%	7.8%	9.4%*
წლიური საშუალო ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	2.5%	1.1%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,367.8	583.1	1,245.9	2,253.4	1,902.2	1,333.8*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	16.4%	13.9%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5,741.0	7,535.1	8,205.3	8,345.6	8,907.8	8,589.1
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	11.8%	9.4%

** მონაცემები წინასწარია და დაზუსტდება მოგვიანებით.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

დამატებითი წყაროები

1. https://ec.europa.eu/eurostat/web/products-euro-indicators/w/3-02052025-bp#:~:text=The%20EU%20unemployment%20rate%20was,office%20of%20the%20European%20Union.
2. https://ilostat.ilo.org/methods/concepts-and-definitions/description-work-statistics-icls19/.

გრიგოლ ფანცულაია
პროექტის მენეჯერი
g.pantsulaia@pmcginternational.com

ნინო ჯავახაძე
ეკონომიკური პოლიტიკის ხელმძღვანელი
n.javakhadze@pmcginternational.com

მარიამ ჯაში
უმცროსი მკვლევარი
m.jashi@pmcginternational.com

ამირან კვანტალიანი
ეკონომიკის ანალიტიკოსი
(საკონტაქტო პირი)
a.kvantaliani@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995) 557170660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org